ისლამის წარმოშობა და მისი გავრცელების ძალმომრეობითი ფორმები

ვიქტორ რაზმაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დოკუმენტურ მასალაზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაშრომში დასაბუთებული ფორმითაა წარმოდგენილი:

1. „ზეციურმა ხმებმა“ და ხილვებმა, მუჰამედი „ალაჰის მოციქულობის“ პრეტენზიის გაცხადებამდე მიიყვანა. მის ქადაგებებში, სამი ძირითადი ფუნდამენტური მოთხოვნა იყო დასმული: ა)მონოთეოზმის ერთგულება და კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობა; ბ)სიკეთის ქმნადობა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა; გ)რელიგიური ლოცვა და მოწყალების გაღებით ქვრივ-ობლებისადმი დახმარება. ამ პრინციპების დაცვა მუჰამედს, ადამიანების ხსნის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა;

2. ქალაქ მედინაში მუჰამედის გადასვლამ და ოფიციალურად „ალაჰის მოციქულად“ აღიარებამ, მის პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. „მედინას ხელშეკრულებით“, იგი ქალაქის თემის რელიგიური და პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილ ხელმძღვანელად გამოცხადდა. მუჰამედის დაპყრობითმა ომებმა, რომელიც „წმინდა ომის“_ ანუ ჯიჰადის სახელწოდებით მიმდინარეობდა, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. „წმინდა ომის“ იდეოლოგიის ნიღბითა და ძალმომრეობაზე დაფუძნებული უმკაცრესი იძულებითი მეთოდების შემოღებით, მან არაბი ტომების მასობრივი ისლამიზაცია მოახდინა. მუჰამედის მხრიდან განხორციელებულმა ამ წარმატებულმა ღონისძიებამ, არაბთა მუსლიმური სახელმწიფოს შექმნის დასაყრდენ საფეხურს დაუდო სათავე;

3. არაბული სახელმწიფოს დაპყრობითი ომების შედეგად, ისლამიზაციის იძულებითი გავრცელების არეალში საქართველოს მოქცევა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, გამოკვეთილი ფორმით ქართულ სასულიერო მწერლობაში აისახა. ქართველი მწერლების წინაშე იმ გზებისა და შესაძლებლობების ძიების საკითხი დადგა, რომელიც ერს ძალდატანებითი ისლამიზაციისგან და ეროვნული გადაგვარებისგან იხსნიდა.

ISLAM ORIGINATION AND DISSEMINATION FORCIBLE FORMS

Victor Razmadze
Phd student of GTU

RESUME

Based of documentary materials and scientific references, the following is represented in this paper in the substantiated form:

1) “Celestial voices” and visions caused Mohammed to claim “Allah apostleship”. Three fundamental demands were stated in his sermons: a) monotheism loyalty and law supremacy compliance necessity, b) goodness creativity and struggle against evil, c) religious prayers and mercy and help towards widows and orphans. Mohammed considered these three demands compliance should serve as the human savior primary means.

2) Mohammed moving to city of Medina and his official recognition as “Allah apostle”. Mohammed establishment as a political figure began with “Medina agreement”, he was recognized as the city community head possessing religious and political rights. The aggressive wars, which were implemented by Mohammed under name of “saint wars” i. e. Jihad occupied very significant role in his political life. Disguised under “the saint war” ideology and with very cruel forcible methods based on violence, he implemented massive islamization of Arabic tribes. This successful activities made by Mohammed became basic for an Arab Islamic state establishment.

3) The aggressive wars implemented by the Arab Islamic state, which resulted in attempts of Georgia islamization forcible dissemination and fight against Orthodoxy was reflected in the Georgian ecclesiastic literature. Georgian writers considered the issue for ways and opportunities search to save the nation against forcible islamization and the national degradation.

◇◇◇

და ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების უარსაყოფად, ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მცდელობა. ამ მიმართულებით გაწეულ პრაქტიკულ საქმიანობას და ისლამის იდეოლოგიის ერთ-ერთ სახეობად დამკვიდრებას, მუჰამედმა დაუდო სათავე. ამ ისტორიული ფაქტიდან გამომდინარე, დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდებით დასაბუთებული ფორმით წარმოვაჩინოთ: 1) მუჰამედის როლი ისლამის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის დამკვიდრების საქმეში; 2) მუჰამედის დამსახურება არაბული ტომების გაერთიანებისა და არაბული მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნაში; 3) მუჰამედი, როგორც პოლიტიკური ფიგურა.

ჩვენს მიერ დასმული საკითხებისადმი სრულყოფილი პასუხის გაცემის მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს, თუნდაც ზოგადი ფორმით შევეხოთ იმ გარემოს, რომელმაც მუჰამედზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. მხედველობაში გვაქვს მისი ახალგაზრდობის წლები და რაც მთავარია, „ალაჰის მოციქულად“ და პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბების განმაპირობებელი მიზეზების ახსნა. მუჰამედის ბიოგრაფიის მკვლევართა მიერ მოტანილი მონაცემების მიხედვით, იგი არაბეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქ მექაში 570 წელს დაიბადა. მისი გენეტიკური წარმომავლობა, კურაიშის ტომის შაჰინთა გვარს უკავშირდება. დღემდე შემორჩენილი ისტორიული წყაროების მიხედვით, ახალგაზრდობის პერიოდში მუჰამედი მექაში ეწეოდა კულტურულ და კომერციულ საქმიანობას. იმავე მასალებით ისიც დადასტურებულია, რომ 610 წლიდან, ხილვების დაწყებასთან ერთად, მუჰამედს „ზეციური ხმებიც“ ჩაესმოდა. მკვლევართა აზრით, აღნიშნულმა ფაქტორებმა განსაზღვრა მუჰამედის შინაგან ცნობიერებაში „ალაჰის მოციქულობის“ თავის-თავზე აღების პასუხისმგებლობა.

სამეცნიერო ლიტერატურით დადასტურებულია, რომ მუჰამედის „გამოცხადებებში“, განსაკუთრებით წინა პლანზე იყო წამოწეული: 1) ერთი ღმერთისადმი (მონოთეიზმისადმი) ერთგულება და კანონის უზენაესობის დაცვა; 2) რელიგიური ლოცვა, მოწყალების გაღება, ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა მიმართ ქველმოქმედების გაწევის აუცილებლობა; 3) სიკეთის ქმნადობა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა. იმავე „გამოცხადებების“ მიხედვით, აღნიშნული მოთხოვნების შესრულება, ადამიანთა ხსნის ერთადერთ საშუალებად იყო მიჩნეული.

მუჰამედის წინასწარმეტყველური და ჰუმანიზმის იდეებით გამსჭვალული საჯარო ქადაგებები 613 წლიდან იწყება. ცნობილი ფაქტია, რომ მექა, იმ პერიოდში არაბეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის პარალელურად, წარმართულ საკულტო ქალაქსაც წარმოადგენდა. უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა მუჰამედს, რათა მშობლიური ქალაქის მცხოვრებლებზე, თავისი ქადაგებით ზემოქმედება მოეხდინა. მის წინაშე წარმოქმნილი სირთულეები შემდეგი ძირითადი ფაქტორებით იყო განპირობებული: 1) რამდენადაც მექას მოსახლეობის უმეტეს ნაწილს კურაიშიანთა ტომი შეადგენდა, მაშინდელი ტრადიციისდა მიხედვით, ტომში შემავალ თითოეულ გვარს თავისი წარმომადგენელი ყავდა; 2) მექაში მოქმედ ტომთა კავშირებს კურაიშიანთა ტომთან ახლო ურთიერთობა გააჩნდა და საერთო ინტერესების დასაცავად ერთად გამოდიოდნენ (1, 51); 3) საზოგადოების ყოველი წევრის ინტერესების დაცვას, საერთო საჯარო კანონების მაგივარად, გვაროვნულ-ტომობრივი კავშირები ახდენდა. (2, 89)

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები იმის დადასტურებაა, რომ მექაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურები არ არსებობდა და ბუნებრივია, ასეთ პირობებში მისი მცხოვრებლებისთვის ერთპიროვნული მმართველობის პრინციპი მიუღებელი იყო. ეს გარემოება, მუჰამედმა პირველ ეტაპზე მაქსიმალურად გაითვალისწინა და შეეცადა, მექას მცხოვრებლების წინაშე უბრალო მქადაგებლის როლში წარმოჩენილიყო. ისიც საყურადღებოა, რომ იგი თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე, სხვა მონოთეისტური რელიგიებისადმი (იუდაიზმი, ქრისტიანობა), არდაპირისპირების მიზნით, ისლამს ცალკე არ გამოყოფდა. ძირითად ყურადრებას კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის წინააღმდეგ ბრძოლას უთმობდა. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მუჰამედის რელიგიური საქმიანობა, ისლამის იძულებით მიღებას არ ითვალისწინებდა. მისი პირველი ქადაგებები, „გაფრთხილებისა და დარწმუნების“, პრინციპს ემყარებოდა. (3, 93) აღნიშნული პრობლემატიკის საკითხებთან მიმართებაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ მექას პერიოდის მუჰამედის მოღვაწეობაში, რელიგიური ფაქტორი სჭარბობდა პოლიტიკურს. მართალია, იმ დროინდელი არაბებისთვის რელიგიური რწმენა უცხო არ იყო, მაგრამ გაკვირვებას იწვევდა მათ წიაღში გაზრდილი საზოგადოების რიგითი წევრის_ მუჰამედის მხრიდან ღმერთის, ალაჰის მოციქულობის მოულოდნელად გამოცხადების პრეტენზია. ამ ფაქტში, არაბებმა, მუჰამედის ერთპიროვნული მმართველობის იდეა დაინახეს. ამ გარემოებამ განსაზღვრა მუჰამედის მშვიდობიანი რელიგიური პროპაგანდის წარუმატებლობა.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, რამდენადაც მუჰამედის მდგომარეობა მექაში გაუარესდა, მან მხარდამჭერთა ძალების ძებნა არაბეთის სხვა ქალაქებში დაიწყო. მისი ეს მცდელობა 620 წელს წარმატებით დამთავრდა. მხედველობაში მაქვს რამდენიმე მხარდამჭერის პოვნა მექას ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ იასარიბში. ისიც ცნობილია, რომ 622 წელს, მუჰამედი მექადან იასარიბში

გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე მიიღო იასარიბმა ახალი სახელწოდება - მედინა (მადინატ ალნაბი _ არაბულად „წინასწარმეტყველის ქალაქი“). სამეცნიერო ლიტერატურით დადასტურებულია, რომ მექადან მუჰამედისა და მისი მიმდევრების იასარიბში გადასვლის წელი (622 წ.) აღინიშნა არაბული ტერმინით _ ჰიჯრა. ეს სახელწოდება შემდეგში საფუძვლად დაედო მუსლიმურ წელთაღრიცხვას. ამ შხვევაში ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანსსაც უნდა მიექცეს. კერძოდ, გამოთქმა _ „ჰიჯრამდე“, აღნიშნავს 622 წლამდე პერიოდს, ხოლო „ჰიჯრით“ _ 622 წლის შემდეგ პერიოდს.

ქალაქ მედინაში ცხოვრების ათწლიან (622-632) მონაკვეთში, მუჰამედმა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე კონტროლის გაძლიერების პარალელურად, მედინას გავლენის გაფართოებაც შესძლო არაბეთის ნახევარკუნძულზე. რაც შეეხება ქალაქ იასარიბის (მედინას) ძირითად მოსახლეობას, იგი ორი არაბული ტომის, აუსისა და ხაზრაჯებისგან შედგებოდა, რომლებიც გვარებად იყო დაყოფილი. ისიც ცნობილია, რომ ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, იუდეველთა ტომები წარმოადგენდა. ისინი არაბულ ტომებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. (4, 85-86) ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, იასრიბელებისათვის იუდეველების მონოთეისტური შეხედულებები ცნობილი იყო. ამიტომ, მუჰამედის მხრიდან ერთღმერთიანობის შესახებ ქადაგება სიახლეს არ წარმოადგენდა. ამ ფაქტორმა, დადებითი როლი შეასრულა მუჰამედისადმი იასრიბელთა კეთილგანწყობის შექმნაში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მუჰამედში, იასრიბელებმა რელიგიური მოღვაწე დაინახეს და ბუნებრივია, მისი მოციქულობაც ირწმუნეს. აქედან გამომდინარე, იგი იასარიბელთა შიდადაპირისპირების მოწესრიგების ერთ- ერთ გარანტადაც მიიჩნიეს.

ქალაქ იასარიბის კონიუნქტურიდან გამომდინარე, მუჰამედმა შეხვედრები გამართა აკაბაში, სადაც გაფორმებული იქნა პირველი შეთანხმება ე.წ. „ქალთა ფიცი“ _ „ბაი ათ ან-ნისა“ სახელწოდებით. რაც შეეხება მეორე შეხვედრას, იგი ახალი ფიცის „ბაი ათ ალ-ჰარბ“ - „ომის ფიცი“- ის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ დოკუმენტით, იასარიბელი მუსლიმები მუჰამედს ალაჰის მოციქულად აღიარებდნენ და რაც მთავარია, მუჰამედის დაცვასა და მფარველობას თავის- თავზე იღებდნენ.

იასარიბში (მედინაში) მოღვაწეობის პერიოდის ფაქტებმა, მუჰამედი შორსმჭვრეტელ და ჭკვიან პოლიტიკურ ფიგურად წარმოაჩინა. ამის ნათელ დადასტურებას, მისი ხელმძღვანელობით შექმნილი „მედინას ხელშეკრულების“ ცნობილი დოკუმენტი წარმოადგენს. ეს ხელშეკრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისით იძენს, რომ იგი მედინას თემის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დარეგულირებას ისახავდა მიზნად. მისი ძირითადი დებულებები შემდეგი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) მუჰამედი, მედინას მუსლიმანური თემის რელიგიური და პოლიტიკური ხელმძღვანელის უფლებებით იქნა აღჭურვილი; 2) მუჰამედი, როგორც თემის დამცველი და მფარველი, თავისი მიმდევრებისგან ალაჰის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდა; 3) უცვლელად ტოვებდა მედინას თემის წეს-ჩვეულებებს; 4) მკაცრად აკანონებდა მედინას თემში თანაცხოვრების წესებს და მისი დამრღვევების მიმართ სიკვდილს აწესებდა; 5) მუჰამედი, უმაღლეს არბიტრად ცხადდებოდა. ნებისმიერი დავის და კონფლიქტის მოგვარება მას ჰქონდა მინდობილი; 6) მუჰამედის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, ალაჰის ნების გამოვლინებად იყო მიჩნეული. (5, 26)

ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ჩვენს მიერ მოტანილი ძირითადი დებულებების მიხედვით, მედინას მორწმუნეთა ლიდერის პარალელურად, მუჰამედი, იმავე ქალაქის თემის შეუვალ და ერთპიროვნულ მმართველადაა გამოცხადებული. მის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული სახელმწიფოს მმართველობისთვის აუცილებელი ყველა რგოლი. მეორე მხრივ, მის მიერ გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებები, მუსლიმური სახელმწიფოს ჩამოყალიბების მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა. დასახული ამოცანის განხორციელებისა და და მისი ჩანაფიქრისადმი ხელის არშესლას ისახავდა მიზნად, იმავე ხელშეკრულებაში ჩადებული დებულება _ მუჰამედის ყველა გადაწყვეტილების, ალაჰის ნების გამოვლენად გამოცხადების შესახებ. ამ შემთხვევაში, მოკვდავის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების ღმერთის ნებისა და სურვილის რანგში აყვანის საბურველით მიზანმიმართულად შემოსვა, ღმერთისგან, მისი „მოციქულისადმი“ დელეგირებული პოლიტიკური ძალაუფლების ხალხისგან აღიარებას ითვალისწინებდა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მუჰამედი, რელიგიის მეშვეობით, არაბი ტომის პოლიტიკურად დამორჩილებისთვის სათანადო საფეხურს ამზადებდა და მის საყრდენ ფუნდამენტად, ისლამის სარწმუნოების გამოყენებას ცდილობდა.

მუჰამედში სარწმუნოებაზე მეტად, სახელისუფლებო კარიერისკენ სწრაფვა რომ სჭარბობდა, ამის ნათელ დადასტურებად, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული საომარი მოქმედებები და არდამორჩილებადი ტომების მიმართ იარაღის ძალით ზემოქმედების ფაქტები გამოდგება. პირველი ასეთი ნაბიჯი, მისი ხელმძღვანელობით მექელთა სავაჭრო ქარავანზე თავდასხმაში და მის ძარცვაში გამოვლინდა. ისიც ცნობილია, რომ მედინაში 10 წლიანი ცხოვრების პერიოდში, მან 70- ზე მეტი ლაშქრობა განახორციელა. ყველაზე დიდი დაპყრობით ბრძოლას მისი მხრიდან მექელების წინააღმდეგ 624

წლის 17 მარტს ბადრის წყლებთან ქონდა ადგილი. ამ ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ და დიდმა ნადავლმა, მუჰამედის რელიგიური და პოლიტიკური ავტორიტეტი მაქსიმალურად გაზარდა. ამ დღიდან, წმინდა ომმა _ ჯიჰადმა, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მუჰამედის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნული წარმატებების შემდეგ, მუჰამედმა 625 წლის 23 მარტს, მექელების წინააღმდეგ უჰუდთან სისხლისმღვრელი ბრძოლები ჩაატარა. ხოლო, 627 წელს, ხანდაკთან გამართულ ბრძოლაში, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მექელები იძულებული გახადა ჰუდაიბადის ხელშეკრულების პირობებზე ხელმოწერას დათანხმებულიყვნენ. ამ დოკუმენტის ძალით, მექელებმა ოფიციალურად აღიარეს მუჰამედის თანასწორობის უფლებები. ამ საკითხთან მიმართებაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევითაა მითითებული, რომ ჰუდაიბადის ხელშეკრულებით, მექელებმა, მუჰამედი აღიარეს არა როგორც „ალაჰის მოციქული", არამედ როგორც პოლიტიკოსი და მისი მიმდევრების წინამძღოლი.(6, 168) ცნობილი რუსი მკვლევარის ო.ბოლშაკოვის მტკიცებით, მუჰამედის მიერ ჩატარებული ბრძოლების შედეგი, არაბი ტომების გაერთიანებას დაედო საფუძვლად. რაც შეეხება ისლამის მიღებას, დამპყრობლის მიერ დაპყრობილის მიმართ ძალდატანების მეთოდის გამოყენებას ეფუძნებოდა. აქედან გამომდინარე, არაბი ტომებისგან იმ ეტაპზე ისლამის მიღების პროცესი_ პოლიტიკური აქტი უფრო იყო, ვინემ რელიგიური.(7, 168) ამის დადასტურებას, იმავე მუჰამედის მხრიდან 630 წელს მექაზე გალაშქრება, ქალაქის აღება და წარმართული კერპების განადგურების ფაქტი წარმოადგენს. ერთი რამ ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი მექას დაპყრობა და მისი ისლამიზაცია, არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები არაბი ტომების მასობრივ ისლამიზაციას და შემდგომ ეტაპზე მუსლიმური სახელმწიფოს ფორმირებას დაედო საფუძვლად. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა მუჰამედის გარდაცვალებისა (632 წ.) და მისი მემკვიდრეების მმართველობის წლებში.

მას შემდეგ, რაც აბუ ბაქარი მუსლიმური თემის მეთაურად აირჩიეს და ხალიფას ტიტული მიანიჭეს, იგი ალაჰის მოციქულის მოადგილედ იქნა გამოცხადებული. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მისი მმართველობა ხანმოკლე (632-634 წწ.) აღმოჩნდა. სიკვდილის წინ, აბუ ბაქარმა თავის მემკვიდრედ, მუჰამედის მიმდევარი უმარი დაასახელა. ეს პიროვნება ისტორიაში ცნობილია უმარ I ბ.ალ-ხატტაბის სახელწოდებით. მისი მმართველობა 10 წელი გაგრძელდა (634-644 წწ).

სამეცნიერო ლიტერატურით დადასტურებულია, რომ უმარის პოლიტიკური კურსი სამხედრო ძალაზე იყო დამყარებული. საომარი მოქმედებებით შეძლო მორჩილებაში მოეყვანა სირია, ეგვიპტე, სპარსეთის დიდი ნაწილი და ამიერკავკასია. ისიც ცნობილია, რომ დაპყრობილ ქვეყნებში მან ძალისმიერი მეთოდებით მოახდინა ისლამის გავრცელება. ამ შემთხვევაში იგი მუჰამედის ანდერძის ღირსეული შემსრულებელი აღმოჩნდა.

არაბული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წარმატება უსმან ბ.აფფანის მმართველობასთანაა (644-656) დაკავშირებული. მას ეკუთვნის ყურანის ბოლო რედაქცია. მისი მმართველობის პერიოდში მოხდა ისლამის სწრაფი გავრცელება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ პროცესის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორს, ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე რელიგიური დაპირისპირება, ქვეყნის პოლიტიკურად დასუსტება და არაბთა სამხედრო წარმატებები განაპირობებდა. აღნიშნულის პარალელურად, ისლამის სწრაფად გავრცელება- დამკვიდრების მიზეზებთან მიმართებაში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, „ისლამის დამკვიდრეიბის ახსნა, მის შინაგან თვისებებში უნდა ვეძიოთ. იგი მარტივი მსოფლმხედველობაა, რომლის გაგებაც უძრავი აღმოსავლეთის გონებისთვისაც ადვილი შესაძლებელი იყო, და იმავე დროს, მისი დებულებები საღმრთო ბრძოლისა და სამოთხის ცხოვრების სიტკბოებათა შესახებ საუკეთესოდ შეეფერებოდა აღმოსავლეთის ტომთა ველურ ინტერესებსა და სურვილებს." (8, 25) ამ შემთხვევაში, ინგლისელ მეცნიერს მაქს მიულერს VII საუკუნის არაბი ტომების მომთაბარული, ნახევრად ველური ყოფა ქონდა მხედველობაში. არაბების ცხოვრების ეს წესი ისტორიული ფაქტებითაცაა დადასტურებული.

არაბების მიერ VII საუკუნის 30- იან წლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობამ, არაბულ მარბიელ რაზმებს გზა საქართველოსკენ გაუხსნა. ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანადაა შესწავლილი არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის მიმდინარე პროცესები, არაბთა ბატონობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობაზე დაწესებული გადასახადის_ ჯიზიათის შედეგები. ისიც ცნობილია, რომ ქართველი ხალხისთვის ყველაზე უმძიმესი, უმაიიანთა დინასტიის მმართველობა გამოდგა. იგი ისლამური ექსპანსიის მეორე ეტაპის დასაწყისად ითვლება. ამ პერიოდში შესძლო არაბების შეიარაღებულმა ძალებმა ინდოეთამდე და ჩინეთამდე მიღწევა, შუა აზიაში გაბატონება, ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმანება და მუსლიმური თვალუწვდენელი იმპერიის შექმნა. ამ იმპერიის შემადგენელ ნაწილს საქართველოც წარმოადგენდა.

საქართველოში არაბთა უმძიმესი ბატონობის შედეგად შექმნილი აუტანელი პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, ქართველების ფიზიკურად განადგურების მცდელობის სააშკარაოზე გამოტანისა და ერის წინაშე არსებული საფრთხეების მი-

თითების აუცილებლობა, ქართულმა სასულიერო მწერლობამ აიღო თავის თავზე. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ იმავე არაბების პოლიტიკის შედეგად, მართლმადიდებლობის_ ისლამის ძალმომრეობის გზით ჩანაცვლება, ქართველობას, ეროვნული გადაგვარების გარდუვალობას უქადდა. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდის ქართული მწერლობის წინაშე პრინციპულად დადგა საკითხი იმ გზებისა და შესაძლებლობების ძიების შესახებ, რომელიც ერს ძალდატანებითი ისლამიზაციისგან და ეროვნული გადაგვარებისგან იხსნიდა.

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება იოანე საბანიძის „წამებაი წმიდისა და ნეტარისა ქრისტეისა ჰაბოისი“. ამ თხზულებაში, იოანე საბანიძემ პრინციპულად დააყენა საკითხი, რომ ქართველთა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება, იმ ეტაპზე მხოლოდ ქრისტიანობის მეშვეობით იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იგი საზოგადოებას ქრისტიანობაზე მტკიცედ დადგომისკენ მოუწოდებდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აბოს მიერ ქრისტიანობისთვის თავის დადება, იოანე საბანიძემ მოხერხებულად გამოიყენა იმ საპროპაგანდო მიზნისთვის, რომელიც ქართველებს სულიერ ამაღლებასთან ერთად სიმტკიცესაც შეუნარჩუნებდა. (9, 77-78)

საქართველოში არაბთა შემოსევებისა და ბატონობის უმძიმესი წლების ისტორიას უკავშირდება ქართველთა ეროვნული ცნობიერების და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად უცნობი ავტორის მიერ შექმნილი თხზულება_ „მარტვილობა დავითისა და კონსტანტინესი“. იმავე საკითხებს ეხება „მარტვილობა არჩილ მეფისა“ და „მარტვილობა კონსტანტინე კახისა“. ეს ბოლო თხზულება განსაკუთრებულ ყურადრებას იმ თვალსაზრისით იქცევს, რომ მასში, მსოფლიოს მასშტაბით ქრისტიანობისთვის წამებულთა ფონზეა აღწერილი სარწმუნოების შენარჩუნებისათვის კონსტანტინე კახის წამების ისტორია. ავტორის მტკიცებით, ჭეშმარიტ ქრისტიანს, ქრისტე ღმერთისადმი რწმენის პარალელეურად, ეკლესიისადმი მსახურების აუცილებლობაც უნდა ქონოდა. ამ შეგონებით, იგი ქართველი ერის მიმართ ქრისტე ღმერთისა და ეკლესიისადმი ერთგულების შენარჩუნების აუცილებლობის მოწოდებასაც აკეთებდა. ასეთი ფონის შექმნამ, ავტორს შესაძლებლობა მისცა ემტკიცებინა, რომ კონსტანტინე კახის გმირობამ, ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოს მდგომარეობა საბოლოოდ იმ თვალსაზრისით განამტკიცა, რომ ქრისტეს რჯულისადმი ქართველთა სიტყვიერ ერთგულებას, რწმენისადმი საქმით თვითშეწირვის ფაქტიც დაემატა. (10, 77) ამ თხზულების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ავტორი ყოველმხრივ ცდილობს, რათა „კონსტანტინე კახის მოწამებრივი ცხოვრების ისტორიული ფაქტით დაასაბუთოს ქართველი ხალხის განსაკუთრებული მისია ქრისტიანულ სამყაროში. მისივე აზრით... ამისთვის საჭირო იყო ქართული მწერლობის ამაღლება მსოფლიო თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების დონემდე. ეს ამოცანა, ავტორის აზრით, მის ნაწარმოებს უნდა შეესრულებინა“. (11, 78)

ქართველთა მიმართ ძალდატანებითი ისლამიზაციის გამოყენების ფორმების საუკეთესო ნიმუშს, ხვარაზმ-შაჰის ჯალალ- ად-დინის მიერ თბილისის მოსახლეობისადმი 1226 წლის ზამთრის სუსხიან დღეებში გატარებული სადამსჯელო ღონისძიება წარმოადგენს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ თბილისის აღების შემდეგ, ჯალალ ად-დინმა, ქალაქის მოსახლეობის გამუსლიმანება დაისახა მიზნად. მისი ბრძანებით, სიონის ტაძრიდან გამოტანილი ხატები მეტეხის ხიდზე დაყარეს და იმავე ხიდთან ძალით მირეკილ ქართველებსა და სომხებს ამ ხატებზე ფეხის დადგმა უბრძანეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით პროფ. ლ.სანიკიძე წერს: ჯალალ ად-დინმა „სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოტანინა და... ხიდის შესასვლელთან პირაღმა დააყრევინა. ამის შემდეგ ბრძანა, რიგრიგად მოეყვანათ ყველა ქრისტიანი, კაციც და ქალიც. ყველას ცალკეულად ფეხი დაედგა და დაეფურთხებინა იმ ხატებისთვის და ფიცით უარეყო ქრისტეს სჯული. ხოლო ვინც ამას არ აღასრულებდა, იქვე თავი წარეკვეთათ და მტკვარში ესროლათ. იჯდა ჯალალი სიონის ნაგუმბათევზე... და ხედავდა, როგორ მოჰყავდათ მის აფთრადქცეულ მეომრებს ქართველები და სომხები, როგორ ჯიქთებოდნენ და იბრძოდნენ ისინი, როგორ ჰკვეთდნენ თავებს და როგორ ტყორცნიდნენ მტკვარში თავსა და ტანსა. მხოლოდ მცირე სულმოკლენი შეურაცხყოფდნენ წმინდა ხატებს და უარყოფდნენ ქრისტიანობას...

100 ათასი თბილისელის სიცოცხლე შეეწირა მაშინ ხვარაზმელთა უწყალო მახვილს! ორჯერ მეტი, ვიდრე უსაშინლესი მიზანთროპის_ ბუღა თურქის დროს.“ (12, 304)

ქართველთა ისლამიზაციის მიზნით, ზემოაღნიშნული უსასტიკესი მეთოდების გამოყენების პროცესმა, XV საუკუნიდან პერმანენტული ხასიათი მიიღო და ამ სადამსჯელო ღონისძიების ობიექტად, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის მოსახლეობა აღმოჩნდა. მათი იძულებითი ისლამიზაცია, ქართული სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას, ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა მოდგმის მომთაბარე ხალხის გაბატონებას და ოსმალეთის იმპერიის შექმნას უკავშირდება.

ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტების ანალიზი, შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1) „ზეციურმა ხმებმა“ და ხილვებმა, მუჰა-

მედი „ალაჰის მოციქულობის“ პრეტენზიის გაცხადებამდე მიიყვანა. მის ქადაგებებში, სამი ძირითადი ფუნდამენტური მოთხოვნა იყო დასმული: ა) მონოთეოზმის ერთგულება და კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობა; ბ) სიკეთის ქმნადობა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა; გ) რელიგიური ლოცვა და მოწყალების გაღებით ქვრივ-ობლებისადმი დახმარება. ამ პრინციპების დაცვა მუჰამედს, ადამიანების ხსნის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა; 2) ქალაქ მედინაში მუჰამედის გადასვლამ და ოფიციალურად „ალაჰის მოციქულად“ აღიარებამ, მის პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. „მედინას ხელშეკრულებით“, იგი ქალაქის თემის რელიგიური და პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილ ხელმძღვანელად გამოცხადდა. მუჰამედის დაპყრობითმა ომებმა, რომელიც „წმინდა ომის“ _ ანუ ჯიჰადის სახელწოდებით მიმდინარეობდა, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. „წმინდა ომის“ იდეოლოგიის ნიღბითა და ძალმომრეობაზე დაფუძნებული უმკაცრესი იძულებითი მეთოდების შემოღებით, მან არაბი ტომების მასობრივი ისლამიზაცია მოახდინა. მუჰამედის მხრიდან განხორციელებულმა ამ წარმატებულმა ღონისძიებამ, არაბთა მუსლიმური სახელმწიფოს შექმნის დასაყრდენ საფეხურს დაუდო სათავე; 3) არაბული სახელმწიფოს დაპყრობითი ომების შედეგად, ისლამიზაციის იძულებითი გავრცელების არეალში საქართველოს მოქცევა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, გამოკვეთილი ფორმით ქართულ სასულიერო მწერლობაში აისახა. ქართველი მწერლების წინაშე იმ გზებისა და შესაძლებლობების ძიების საკითხი დადგა, რომელიც ერს ძალდატანებითი ისლამიზაციისგან და ეროვნული გადაგვარებისგან იხსნიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Болшаков О.Г. История халифата. т.1. М. 1989.

2. Бартольд В.В. Ислам. Сочинения. т. 6. М.1966.

3. Бартольд В.В. Ислам. Сочинения. т. 6. М.1966.

4. Болшаков О.Г. История халифата. т.1. М. 1989

5. ნ.გველესიანი. გ.სანიკიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია). თბილისი. 2009 წ.

6. Болшаков О.Г. История халифата. т.1. М. 1989.

7. Болшаков О.Г. История халифата. т.1. М. 1989.

8. ისლამი და არაბთა სახელმწიფო. მიულერიდან. ქუთაისი. 1914 წ.

9. კ.კეკელიძე. ა.ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი. 1969 წ.

10. ფ.ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. თბილისი. 2012 წ.

11. ფ.ლომაშვილი. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია. თბილისი. 2012 წ.

12. ლ.სანიკიძე. წიგნი მოწამეთა. თბილისი. 1988 წ.